ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ეფექტურობის ეროვნული მაჩვენებლების კვლევის მეთოდოლოგია

ნანა სულაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში გამოკვლეულია ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლების ცნება. კვლევის ობიექტად გამოდის ინკლუზიური ზრდა და განვითარება. კვლევის საგანს წარმოადგენენ ინკლუზიური განვითარების ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლები. სტატიაში განხილულია ინკლუზიური განვითარების ცნება, როგორც ახალი ეკონომიკური მოდელი, რომელიც მიმართულია ბალანსირებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შექმნისკენ, სოციალური თანასწორობის, გარემო ფაქტორებისა და ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიური განვითარების შეფასების მეთოდიკას, რომელიც შემოთავაზებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების მიერ 2017 წელს.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს ეროვნული ეკონომიკის თეორიის განვითარებაში, ინკლუზიური ზრდისა და განვითარების შეფასებისადმი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების გაფართოების საფუძველზე. პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს ინკლუზიური განვითარების ინდექსის გამოანგარიშებებში, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ სახელმწიფო და რეგიონალური პროგრამების, აგრეთვე, საქართველოს განვითარების სტრატეგიების შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური ზრდა, ინკლუზიური განვითარების ინდექსი, ეფექტურობის ეროვნული მაჩვენებლები, ინკლუზიური განვითარების მაჩვენებლები, განვითარების ახალი მოდელი, თაობების თანასწორობა, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, შემოსავლების უთანასწორობა, ინკლუზიური განვითარების პოლიტიკა.

ცხოვრების დონის ამაღლების ნელი ტემპები და უთანასწორობის გაღრმავება ხელს უწყობს პოლიტიკურ პოლარიზაციას და სოციალური ერთობის დაშლას მრავალ განვითარებულ ქვეყანასა და ფორმირებადი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. შემოსავლების განაწილების უთანაბრობა ბოლო პერიოდში როგორც პრაქტიკოსი, ისე მეცნიერ-ეკონომისტების ყურადღების ცენტრშია. საერთაშორისო ორგანიზაციები, პრაქტიკულად ყველა ქვეყნის, მ.შ. საქართველოს მთავრობა, ცდილობს განახორციელოს პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც ეკონომიკური ზრდისაგან სარგებელს უფრო მეტი ადამიანი მიიღებს, ასეთი ტიპის პოლიტიკა ცნობილია, როგორც ინკლუზიური ზრდის პოლიტიკა. ყოველივე ზემოთქმულმა მიგვიყვანა გლობალური კონსენსუსის ფორმირებამდე, ზრდისა და განვითარების ყოვლისმომცველი და მტკიცე მოდელის შექმნის აუცილებლობასთან მიმართებაში, რომელიც ხელს შეუწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას ყველასთვის, როგორც ინკლუზიური ზრდისა და განვითარების კონცეფცია.

ინკლუზიური ზრდისა და განვითარების შესახებ არსებობს მეცნიერების რამდენიმე თვალასზრისი, ყველაზე ცნობილ თვალსაზრისს შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

R. Samans, J. Blanke, M. Drzeniek, G. Corrigan აზრით, ინკლუზიური განვითარების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ: ეკონომიკური ზრდა, რომელიც მიმართულია რესურსების, როგორც მატერიალურის, ისე არამატერიალურის სამართლიანი განაწილებისკენ, მთელი საზოგადოების კეთილდღეობის გაზრდის მიზნით.[1]

[1] Samans R., Blanke J., Drzeniek M., Corrigan G. The Inclusive Development Index 2018 Summary and Data Highlights. Geneva, Switzerland: World Economic Forum // World Economic Forum. URL: http://www3.weforum.org/docs/WEF_Forum_IncGrwth_2018.pdf; Samans R., Blanke J., Drzeniek M., Corrigan G. The Inclusive Growth and Development Report 2017. Geneva, Switzerland: World Economic Forum // World Economic Forum. URL: http://www3.weforum.org/docs/WEF_Forum_IncGrwth_2017.pdf (21.10.2019).

R. Hasmath ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ქვეშ გულისხმობს ეკონომიკურ ზრდას, რომელიც მიმართულია კეთილდღეობის ზრდისკენ და უთანასწორობის შემცირებისკენ მოსახლეობას შორის სიმდიდრისა და კეთილდღეობების პირდაპირი და თანაბარი განაწილების, ე.ი. სოციალური ეკონომიკის განვითარების ხარჯზე[1].

M. Feshari ინკლუზიურ ზრდას განსაზღვრავს როგორც ეკონომიკურ მოდელს, რომელიც მიმართულია ბალანსირებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შექმნისა და განვითარებისკენ სოციალური თანასწორობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით[2]. სხვა განსაზღვრებით, ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ეკონომიკური ზრდის კონცეფცია, რომელიც ხელს შეუწყობს თანაბარი შესაძლებლობების შექმნას ეკონომიკური პროცესის მონაწილეებისთვის[3].

პრობლემის სიმწვავის გამო, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაამტკიცა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრა-ტეგია - საქართველო 2020, რომელიც ასევე ინკ-ლუზიური ზრდის თემატიკას შეეხებოდა. შე-ვეცდებით იმ საკითხების პრიორიტეტიზაცია გავაკეთოთ, რომლებიც აისახა სტატეგიაში და მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის.

ცნობილია, რომ ინკლუზიური ზრდის პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს წარმოების განვითარებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ ზრდას (რაც არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას განაპირობებს), ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას (მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობა ეკონომიკური განვითარების პროცესში (დიასპორის, მიგრანტების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა ჯგუფების ჩათვლით), ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობის, მათი სოციალური თანასწორობისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება) და ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფასა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილებას (ე.წ. მდგრადი განვითარება[4]).

ანალიზის საფუძველზე ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის საქართველოში გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. სტრატეგია მიზნად არ ისახავდა ეკონომიკის ცალკეული სექტორის ანალიზს ან მათი კონკურენტუნარიანობის შეფასებას, არც ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების გამოვლენას.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენას ეკონომიკური რეფორმების სამი ტალღა მოჰყვა. რეფორმები, რომელთაც ახალი ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციური საფუძველი შექმნეს, 90-იანი წლების პირველი ნახევრის კრიზისის შემდეგ განხორციელდა. ამ პოლიტიკამ რეფორმების პირველ ეტაპზე ეკონომიკური ზრდის სტიმულირება განაპირობა, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს შეფერხდა. 2004 წელს დაწყებული რეფორმების მეორე ტალღა მიმართული იყო ბაზრის ლიბერალიზაციისკენ, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, გადასახადების, ნებართვებისა და ლიცენზიების რაოდენობის შემცირებით გამოიხატა[5].

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ რეფორმების მესამე ტალღა დაიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება და საგადასახადო კანონმდებლობისა და საგადასახა-

[1] Hasmath R. Inclusive growth, development and welfare policy: A critical assessment. NewYork: RoutledgeTaylor&FrancisGroup, 2015.https://www.routledge.com/Inclusive-Growth-Development-and-Welfare-Policy-A-Critical-Assessment/Hasmath/p/book/9781138840799

[2] Kazakova A.A. Inklyuzivnyi rost: problema sotsiologicheskoi kontseptualizatsii // Teoriya i praktika obshchestvennogo razvitiya. 2016. № 4. S. 21

[3] El'shin L.A., Prygunova M.I. Ozhidaniya i ikh vliyanie na parametry tsiklicheskogo razvitiya ekonomiki // Teoreticheskaya i prikladnaya ekonomika. 2016. № 4. S. 23

[4] Доклад о росте. Стратегии устойчивого роста и инклюзивного развития © 2008 Международный банк реконструкции и развития/Всемирный банк © Перевод на русский язык — Издательство «Весь Мир», 2009 https://siteresources.worldbank.org/EXTPREMNET/Resources/489960-1338997241035/Growth_Commission_Final_Report_Russian.pdf

[5] ნ. ხადური ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ინკლუზიური ზრდის ფაქტორები და საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებული გამოწვევები. "ეკონომისტი", N1, 2018, გვ.37

დო ადმინისტრირების სრულყოფაში, სრულ დეპოლიტიზაციასა და ჰუმანიზაციაში, ასევე ევროპული ტიპის მარეგულირებელი ინსტიტუტების აღდგენაში გამოიხატა.

2004-2012 წლების ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები წარმოადგენდა, რომელთა დიდი ნაწილი მიმართული იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ამასთან, სამუშაო ძალის წილი ეკონომიკის განვითარებაში უარყოფითი იყო და საშუალოდ 1,6%-იანი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობის (ეკონომიკური ზრდის ნაწილი, რომელიც შრომის ან კაპიტალის ზრდას არ უკავშირდება) საშუალო წლიური ზრდის ტემპი კი 2,8%-ს შეადგენდა[1].

ჩნდებოდა მოლოდინი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ხელს შეუწყობდა ახალი ცოდნის მიღებასა და ტექნოლოგიების დანერგვას, რაც ექსპორტის ზრდისა და დივერსიფიცირების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა. თუმცა ეს მოლოდინი არ გამართლდა, რადგან, მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო კაპიტალტევად დარგებში (უფრო ნათლად კი, უძრავი ქონების შეძენაში), რომლებშიც მცირეა დასაქმების მოცულობა. იმპორტის მოცულობის ზრდამ მნიშვნელოვნად გაუსწრო ექსპორტის მოცულობის ზრდას, რამაც უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოს ზრდა გამოიწვია - ეს ქვეყნისთვის სერიოზული მაკროეკონომიკური რისკია, რაც კიდევ უფრო ზრდის გაცვლით კურსზე დაწოლას. გარდა ამისა, ეკონომიკური ზრდით მიღებულმა შედეგმა ვერ უზრუნველყო სიღარიბის დონის მნიშვნელოვანი შემცირება. ბოლო ათწლეულში, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სიღარიბის მაჩვენებლები თითქმის არ შეცვლილა. ამასთანავე, საქართველო რეგიონში უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მთავარი ამოცანა საქართველოს ეკონომიკის შემაფერხებელი ყველაზე კრიტიკული პრობლემების იდენტიფიკაცია და დაძლევაა. სტრატეგიის შემუშავებისას გამოყენებული იყო ზრდის დიაგნოსტიკის მეთოდი (Growth Diagnostic Method), რომელიც კრიტიკული პრობლემების გამოვლენის საშუალებას იძლევა. კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბება, მიზნად ისახავს ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას და ახალ პერსპექტივებს ქმნის ქართული კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ანალოგიურად დღეისათვის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები უკვე მოქმედებს ჩინეთთან, საქართველოს ყველა მეზობელთან, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან, ჯამში თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ ისარგებლონ 2,2 მილიარდ მომხმარებლიან ბაზრებზე[2].

მიუხედავად ამისა ცალკეულ სფეროებში არსებობს სერიოზული პრობლემები, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. დღეისთვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე გადახდისუუნარობასთან, კომერციული დავის გადაწყვეტასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. არსებული სირთულეები, მთლიანობაში, აუარესებს სამეწარმეო გარემოს, ამცირებს ინვესტორთა ნდობას და ნაკლებად ეფექტიანს ხდის სხვა სფეროებში ჩამოყალიბებულ ქმედით მექანიზმებს. მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს უზრუნველსაყოფად აუცილებელია საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, მათ შორის, სასამართლო სისტემის გაძლიერების ხელშეწყობა. ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო, სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, ასევე

[1] წყარო: საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიიდან - საქართველო 2020;

[2] ნ. ხადური, ინკლუზიური ზრდის ფაქტორები და საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებული გამოწვევები. "ეკონომისტი", N1, 2018, გვ.37

საკუთრების უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს პირობაა. თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის უზრუნველსაყოფად, რომელიც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, აუცილებელია საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესება და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, საუკეთესო ევროპული პრაქტიკის დანერგვა, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს კარტელური გარიგებების, კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებების და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღმოფხვრის ეფექტიან ნორმებს და აღსრულების მექანიზმებს. ამავე დროს აუცილებელია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა არ ქმნიდეს ხელოვნურ ბარიერებს კომპანიების ზრდისა და განვითარებისთვის. ქვეყანაში კონკურენტული გარემოს შესაქმნელად ხელი უნდა შეეწყოს სასამართლოს შემდგომ გაძლიერებას კონკურენციასთან დაკავშირებული დავის სამართლიანად გადაწყვეტისა და შესაბამის საკითხებზე მოსამართლეთა ცოდნის გაღრმავების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით საქართველოს კონკურენციის სააგენტოში უკვე წელიწადზე მეტია (2017 წლის გაზაფხულიდან) მიმდინარეობს ევროკავშირის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების ზრდას და ჩვენთან ერთად აქტიურად თანამშრომლობს ლიტვის კონკურენციის საბჭო. იმედია, რომ ამ მიმართულებით ბიზნესი რეალურ წინსვლას იგრძნობს. თუმცა ცხადია, რომ ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის და მისი კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის, ბიზნესის დაწყების სიმარტივესთან ერთად მნიშვნელოვანია ბიზნესის დახურვის პროცესის გამარტივებაც. ბიზნესის დახურვის გამარტივება აადვილებს კომპანიების გადანაცვლებას ნაკლებად ეფექტიანი სფეროდან უფრო ეფექტიან სფეროში, და შესაბამისად, ხელს უწყობს კომპანიების ზრდას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. არსებულმა და მომავალმა რეგულაციებმა არ უნდა შეზღუდოს ბიზნესსაქმიანობა მისთვის დამატებითი პრობლემის შექმნით. ამისთვის საჭიროა რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) სისტემა, რომლის მიზანს როგორც ახალი საკანონმდებლო ინიციატივების, ასევე არსებული საკანონმდებლო აქტების ბიზნესგარემოზე გავლენის შეფასება წარმოადგენს. ზემოაღნიშნულმა უნდა გააუმჯობესოს ქვეყნის სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო, რაც წაახალისებს ბიზნესის წამოწყებას, არსებული ბიზნესის გაფართოებასა და დივერსიფიკაციას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, უცხოური ინვესტიციების ნაკადების გაზრდას, მწარმოებლურობის დონის ამაღლებას, ასევე შესაბამის საერთაშორისო რეიტინგებსა და შეფასებებში ქვეყნის პოზიციების გაუმჯობესებას. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება წარმოადგენს. სწრაფი ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის შემცირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

„საქართველო 2020“ ადამიანური რესურსების განვითარებისთვის სამ ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების აქტიურ განხორციელებას მოითხოვს. ეს მიმართულებებია: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა და ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვისა და განათლების სისტემების უზრუნველყოფა. განათლება განვითარების ფუნდამენტური ფაქტორია და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა. მხოლოდ ძლიერი და სოციალურად სამართლიანი საგანმანათლებლო სისტემის პირობებშია შესაძლებელი ქვეყანაში არსებული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრა. სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარება, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დახმარებაზე ბევრად ეფექტიანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართვა ეკონომიკურ პროცესებში. უმუშევრობის მაჩვენებლები განათლების დონის მიხედვით მიუთითებს, რომ რაც

უფრო მაღალია განათლების მიღწეული დონე (სამწუხაროდ ალბათ არა განათლების, არამედ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქონის), მით უფრო მეტი სიმწვავით იჩენს თავს უმუშევრობის პრობლემა, რაც, თავის მხრივ, ცხადყოფს, რომ განათლების სისტემა ვერ პასუხობს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს. საქართველოში კერძო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. მსგავსი შედეგები აჩვენა სხვადასხვა ორგანიზაციის (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია) კვლევებმაც[1].

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარების, მწარმოებლურობის ზრდის, ექსპორტის არეალის გაფართოების და, შესაბამისად, ეკონომიკაში ინვეტიციების ზრდის საჭირო ტემპის მისაღწევად. თუმცა ამ მიმართულებით დღეისათვის ორი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი არსებობს:

1) ეროვნული დანაზოგების დაბალი დონე, რაც ვერ უზრუნველყოფს სათანადო შიდა რესურსს ინვესტიციებისთვის;

2) ფინანსური შუამავლობა არაეფექტიანია და მიუხედავად ქვეყანაში ხშირ შემთხვევაში არსებული ჭარბი ლიკვიდურობისა, ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის სტიმულირებისთვის საჭირო რესურსებს. შესაბამისად, ფინანსურ ინსტიტუტებსა და ბაზრებს სჭირდებათ განვითარება, სამართლებრივი, მარეგულირებელი და ინსტიტუციური ასპექტების გათვალისწინებით.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“-ის დოკუმენტში ანიშნულია, რომ „სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპების მისაღწევად, ყოველწლიურად ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა უნდა შეადგენდეს მშპ-ს მინიმუმ 30%-ს“.[2] ამ მიზნის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ შიდა დანაზოგების მობილიზაციით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით და შიდა ფინანსური ბაზრების განვითარებით. პრობლემას წარმოადგენს არა მარტო შიდა დანაზოგების სიმწირე საინვესტიციო რესურსების უზრუნველსაყოფად, არამედ ლარში რესურსების ნაკლები ხელმისაწვდომობა და გრძელვადიანი სასესხო რესურსების ნაკლებობა. მეწარმეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ადგილობრივ ვალუტაში ფინანსების ხელმისაწვდომობა და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ბიზნესის გაფართოებისთვის და სამუშაო ადგილების შექმნისთვის ფინანსებზე წვდომის გაზრდა. გრძელვადიანი დაფინანსება აუცილებელია საინვესტიციო პროექტებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს ფირმის მწარმოებლურობისა და ექსპორტის კონკურენტუნარიანობის გაზრდას და ტექნოლოგიური მოდერნიზების ხელშეწყობას. საქართველოს ფინანსურმა ბაზრებმა ხელმისაწვდომი უნდა გახადონ როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი დაფინანსება და ამით უპასუხონ სხვადასხვა ტიპისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი საწარმოების საჭიროებას. შესაბამისად, ქვეყნის განვითარების სტრატეგია გულისხმობს შესაბამისი ფინანსური ბაზრების და ინსტრუმენტების განვითარებას კანონმდებლობის, რეგულაციებისა და ინსტიტუციების გაძლიერებით. ამავე დროს სახელმწიფოს ეკისრება ბაზრის განვითარების ხელშეწყობის, ინვესტორებისა და დეპოზიტარებისთვის საჭირო წახალისებისა და მათი დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა, ფისკალური ხარჯების შემცირება და კერძო კაპიტალის გამოდევნის თავიდან აცილება. ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის სხვაობის დასაფინანსებლად აუცილებელია, სახელმწიფომ განახორციელოს ღონისძიებები როგორც დანაზოგების ზრდის ხელშეწყობის, ისე უცხოური კაპიტალის შემოდინების წახალისების მიზნით. ამასთან, დანაზოგების ზრდისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობებია ერთი მხრივ, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მათ შორის, დანაზოგების მსყიდველობითი უნარის სტაბილურობის უზრუნველყოფა და, მეორე მხრივ, გამჭვირვალე და ეფექტიანი მექანიზმები ინვესტიციებისა და დანაზოგების დასაცავად. კერძო დანაზოგების სტიმულირების მიზნით უკვე დაინერგა დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რამაც უნდა შეამციროს საბანკო

[1] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020.http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/1_sakartvelos_socialur-ekonomikuri_ganvitarebis_strategiis_-_sakartvelo_2020.pdf

[2] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

სისტემაში ფულის განთავსების რისკი. სისტემა უნდა ეყრდნობოდეს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. მართალია დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ჯერ მხოლოდ სიმბოლურ დეპოზიტებს აზღვევს, მაგრამ შესაძლოა ეს კარგი სიგნალი გახდეს საბანკო სისტემის ნდობის ამაღლებისათვის.

საპენსიო რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებას, ხელს შეუწყობს ქვეყანაში დანაზოგების მოცულობის ზრდას. აღნიშნული რეფორმა სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პარალელურად შექმნის დამატებით წყაროს ინვესტირებისათვის. დასკვნა იმისათვის, რომ დაგროვებითმა საპენსიო სისტემამ გამოიწვიოს საინვესტიციო რესურსების ზრდა, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში განვითარდეს კაპიტალის ბაზრები და ასევე, ხელი შეეწყოს კერძო დაზღვევის ოპერაციების სრულყოფას.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს განუვითარებელი კაპიტალის ბაზრები. ნაკლებად განვითარებული საფონდო ბაზარი შეიძლება დავახასიათოთ კომპანიების ბრუნვადი ფასიანი ქაღალდების სიმცირით და ადგილობრივი, განსაკუთრებით, კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის განუვითარებლობით. ფაქტობრივად არ არსებობს არც გირაოთი და სხვა გარანტიით გამყარებული ობლიგაციები. საფონდო ბაზრის განვითარებას უფრო დიდი დრო დასჭირდება. თუმცა ეს რეფორმები უნდა დაიწყოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების განვითარებით, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობაში მოყვანით ფასიანი ქაღალდების კომისიის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) პრინციპებთან.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება განაპირობებს ბაზრის გამჭვირვალობის და ინვესტორთა ნდობის გაზრდას; კორპორატიული მართვის გაძლიერებას და ინვესტორების, მათ შორის, უმნიშვნელო წილის მქონე ინვესტორების ინტერესების უკეთ დაცვას; ბაზარზე პოზიციების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის, მათ შორის, სპეკულაციური და ინსაიდერული გარიგებების შემცირებას და საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობის გაზრდას. ცხადია, უთანაბრობის შემცირება ბევრ კომპლექსურ ღონისძიებასთანაა დაკავშირებული, თუმცა ერთი უნდა ითქვას, მსოფლიოში უამრავი მაგალითია იმის, თუ როგორ შეძლეს ქვეყნებმა თავი დაეღწიათ სიღარიბისათვის და მაქსიმალურად გამოეყენებინათ ის უპირატესობანი, რომლებიც მათ აქვთ.

ინკლუზიური ზრდის კონცეფცია აფართოებს ტრადიციული ეკონომიკური ზრდის ცნებას და მოიცავს ადამიანისეული კაპიტალის განვითარების, გარემოს უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ყველა ჯგუფის, განსაკუთრებით კი, ნაკლებად დაცული ჯგუფების სოციალური დაცვის მნიშვნელობას[1]. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის კონცეფცია შედარებით ახალია, ის ახლა, როგორც არასდროს, ითვლება საკმაოდ აქტუალურად, განსაკუთრებით საქართველოში, იმასთან დაკავშირებით, რომ ადრე მოცემული მიდგომა არ გამოიყენებოდა და არავითარი სისტემური ჩარჩოები პოლიტიკით და პრაქტიკით ხელმძღვანელობისთვის ახლო დრომდე შექმნილი არ ყოფილა. მაგრამ 2017 წელს ეკონომიკური ზრდისა და სოციალური ინტეგრაციის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე წამოწეულ იქნა ეს თემა „2017 წლის მოხსენებაში ინკლუზიური ზრდისა და განვითარების შესახებ“[2]. 2015 წელს გამოშვებულ ინკლუზიური ზრდის წინასწარ პოლიტიკაზე დაფუძნებული აღნიშნული ანგარიში შეიცავს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს ხელმძღვანელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც ცდილობენ შეიმუშაონ სტრატეგია თავიანთ ქვეყნებში ცხოვრების დონის ამაღლებაში უფრო ფართო პროგრესსა და ეკონომიკურ ზრდას შორის მეტი სინერგიის უზრუნველყოფისთვის. მოხსენებაში არსებული პოლიტიკის მაჩვენებლებისა და საფუძ-

[1] Sharafutdinov R.I., Gerasimov V.O., Yagudina O.V., Dmitrieva I.S., Pavlov S.V., Akhmetshin E.M. Research of Human Capital in View of Labour Potential of Staff: National Companies Case Study // Proceedings of the 29th International Business Information Management Association Conference-Education Excellence and Innovation

[2] Management through Vision 2020: From Regional Development Sustainability to Global Economic Growth. ViennaAustria: IBIMA, 2017. P. 839-8521

Samans R., Blanke J., Drzeniek M., Corrigan G. The Inclusive Growth and Development Report 2017. Geneva, Switzerland: World Economic Forum // World Economic Forum. URL: http://www3.weforum.org/docs/WEF_Forum_IncGrwth_2017.pdf



ნახ. 1. ეფექტურობის საკვანძო ეროვნული მაჩვენებლები

ვლების დამატებით, რომლებიც წარმოადგენენ ინსტიტუციური სიძლიერისა და პოლიტიკის 15 ყველაზე მნიშვნელოვან დარგში ინკლუზიური ზრდისთვის სასიკეთო პირობების შედარებით ილუსტრაციას, წარმოდგენილია ეფექტურობის ეროვნული საკვანძო მაჩვენებლების ახალი ნაკრები, რომლებიც ეხმარებიან ქვეყნებს ნახონ პროგრესი ინკლუზიური განვითარების პოლიტიკაში. ისინი გაერთიანებულ იქნენ კრებსით გლობალურ ინდექსად - ინკლუზიური განვითარების ინდექსად, რომელიც ზომავს დაგროვილ დონეს, აგრეთვე, მაჩვენებლების უკანასკნელ ხუთწლიან დინამიკას 109 ქვეყნისთვის, რომლებზეც არსებობს ასეთი მონაცემები. უკანასკნელი სასარგებლოა მთავრობებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც ცდილობენ შეაფასონ პოლიტიკასა და პირობებში ცვლილებების შედეგები ტიპიური პოლიტიკური ციკლის ჩარჩოებში[1]. ერთობლიობაში პოლიტიკური ჩარჩოები და საკონტროლო მაჩვენებლების მონაცემები მოწოდებული არიან უზრუნველყონ ქვეყნები პრაქტიკული ინსტრუმენტებით, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ დაგვეხმარონ ვაქციოთ ინკლუზიური ზრდისადმი სწრაფვა მოქმედებათა პრაქტიკულ და გაზომვად გეგმად. ამავე დროს, მოხსენებაში არის რიგი მნიშვნელოვანი დასკვნები ეროვნულ პოლიტიკასთან და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობასთან მიმართებაში, რომლებიც საკმაოდ ვრცლადაა ჩამოყალიბებული. მეფ-ის ექსპერტების აზრით, ინსტიტუტების განვითარებისა და ინკლუზიური ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით მნიშვნელობა აქვს ინკლუზიური განვითარების ეფექტურობის საკვანძო და ინსტიტუციურ მაჩვენებლებს. ინკლუზიური განვითარების საკვანძო მაჩვენებლები იყოფა სამ კატეგორიად:

- ზრდა და განვითარება;
- ჩაბმულობა (ინკლუზია);
- სამართლიანობა მომავალი თაობებისადმი და მდგრადი განვითარება (ნახ. 1).

მსოფლიოს ქვეყნებს შორის შედარებითი ანალიზის ჩატარების მიზნით, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების მიერ წარმოებულ იქნა ქვეყნების რანჟირება შემო-

[1] Samans R., Blanke J., Drzeniek M., Corrigan G. The Inclusive Growth and Development Report 2017. Geneva, Switzerland: World Economic Forum // World Economic Forum. URL: http://www3.weforum.org/docs/WEF_Forum_IncGrwth_2017.pdf

სავლების დონეების მიხედვით. ამ მეთოდიკით, ყველა ქვეყანა გაყოფილ იქნა 4 ჯგუფად, მუდმივი მოსახლეობის რაოდენობაზე ქვეყნის მშპ-ის საერთო დონის თანახმად. საბოლოო ჯამში, ქვეყნების გაყოფა გამოიყურება შემდეგნაირად:

განვითარებული ქვეყნები - ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის არანაკლებ 17 ათასი დოლარის შემოსავლით - 30 ქვეყანა;

ქვეყნები „საშუალოზე მაღალი“ შემოსავლის დონით - 6-დან 17 ათას დოლარამდე - 26 ქვეყანა, რომლებსაც, მათ შორის, მიეკუთვნება რუსეთის ფედერაციაც;

ქვეყნები „საშუალოზე დაბალი“ შემოსავლის დონით - 1320-5999 დოლარი - 37 ქვეყანა;

ქვეყნები შემოსავლის დაბალი დონით 1320 დოლარამდე - 16 ქვეყანა.

ინკლუზიური განვითარების ინდექსის მეთოდოლოგია

საკვანძო მაჩვენებლების მიხედვით ინკლუზიური განვითარების ინდექსის განსაზღვრისთვის გამოიყენება შემდეგი მეთოდოლოგიური საფუძვლები და ფორმულები. გამოიყენება სამი სახის ფორმულა. მონაცემების რაოდენობრივი შეფასებისთვის მათი შედარებითი ანალიზის მიზნით, გამოიყენება ფორმულა (1), რომელიც საშუალებას გვაძლევს გარდავქმნათ მონაცემები ყველა საკვლევი ქვეყნის მიხედვით მნიშვნელობის არეში 0-დან 7-მდე. თანაც რაც უფრო მაღალია მნიშვნელობები, მით უფრო მეტია ხარისხობრივი მაჩვენებელი საკვლევ ქვეყანაში. მოცემული ფორმულა გამოიყენება მაჩვენებლების იმ ჯგუფებისადმი, რომლებისთვის უფრო მაღალი მნიშვნელობა დადებითია, მაგალითად, რაც უფრო მაღალია დასაქმებული მოსახლეობის დონე საერთო რაოდენობასთან, მით უფრო დადებითია სიტუაცია ქვეყნის შრომითი პოტენციალით.

$$6x\frac{(contry\ score - sample_{\min})}{sample_{\max} - sample_{\min}} + 1 \qquad (1)$$

სადაც contryscore (ქვეყნის მაჩვენებელი) - საკვლევი მაჩვენებლის მნიშვნელობა კონკრეტული ქვეყნის მიხედვით; samplemin და samplemax - მაჩვენებლების მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობებია ყველა საკვლევი ქვეყნის (რეგიონის) მიხედვით მაჩვენებლების კონკრეტულ ჯგუფზე. თული უფრო მაღალი მნიშვნელობა მეტყველებს ნეგატიური ტენდენციის შესახებ ქვეყნისთვის, მაგალითად, რაც უფრო მაღალია ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია დიფერენციაცია შემოსავლების უთანაბრობაში, ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ფორმულა (2):

$$-6x\frac{(contry\ score - sample_{\min})}{sample_{\max} - sample_{\min}} + 7 \qquad (2)$$

ინკლუზიური ზრდისა და განვითარების კონკრეტული ჯგუფის ყველა მაჩვენებლის განსაზღვრის შემდეგ გამოიყენება ფორმულა (3), რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ინკლუზიური განვითარების კრებსითი ინდექსი მთლიანობაში ან კონკრეტული საკვლევი ჯგუფის მიხედვით.

$$category_i = \frac{\sum_{k=i}^{k} indicator_k}{K} \qquad (3)$$

სადაც category - ინკლუზიური განვითარების მაჩვენებელთა სამი ბლოკიდან ერთერთია; indicatork - ყველა მაჩვენებლის ჯამია ან ბლოკების ჯამია, ინკლუზიური განვითარების საბოლოო ინდექსის გამოსაანგარიშებლად; K - საკვლევი ქვეყნების ან რეგიონების რაოდენობაა. ავტორების მიერ რეგიონების ჯგუფებს შორის შეჯერებათა გასაადვილებლად ყველა მაჩვენებელი დაჯგუფებულ იქნა ოთხი ფართო კატეგორიის მიხედვით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის გლობალური ინდექსის მეთოდოლოგიისა და მსოფლიო ბანკის შემოსავლების კლასიფიკაციების და რეგიონის შემოსავლების დონის შესახებ რუსეთის სტანდარტის მონაცემების შეუღლების საფუძველზე. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილი შემოსავლების ზღვრული მნიშვნელობები დაფუძნებულია მრპ-ზე ერთ სულ მოსახლეზე აშშ-ს დოლარებში (ვალუტის მიმდინარე კურსის მიხედვით).

ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ეფექტურობის შეფასების მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება მოცემულ ნაშრომში წარმოადგენენ პრაქტიკულ სახელმძღვანელოს განსჯისთვის იმის შესახებ, თუ როგორ მივაღწიოთ მეტ სინერგიას ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ ინტეგრაციას შორის, შესაბამ-

ისი სტრუქტურული პოლიტიკის უფრო სრული ეკოსისტემისა და ინკლუზიური განვითარების ინსტიტუტების კულტივირების გზით. მაჩვენებელთა მოცემული ჯგუფები შემოთავაზებულ იქნა მეცნიერთა და სპეციალისტთა კოლექტივის მიერ, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ: eshari M., Valibeigi M[1]., Hasmath R. ინკლუზიური განვითარების პოლიტიკის შესაბამისი მაჩვენებლები გვაწვდიან ინსტრუმენტს კონკრეტულ ქვეყნებში განვითარების სხვადასხვა დარგებში პოლიტიკური ძალების დონის შესაფასებლად. სამი ძირითადი კომპონენტიდან თითოეულის ჩარჩოში სპეციალისტების მიერ არჩეულ იქნა ოთხი ძირითადი მაჩვენებელი[2]: პირველი კომპონენტი მოიცავს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ოთხ ძირითად მცვენებელს: მშპ ერთ სულ მოსახლეზე; შრომის ნაყოფიერება, საოჯახო მეურნეობების შემოსავლები და ჯანმრთელი ცხოვრების ხანგრძლივობა, როგორც ცხოვრების ხარისხის მაჩვენებელი. მეორე კომპონენტი მოიცავს სოციალური ინტეგრაციის ოთხ ძირითად მაჩვენებელს: საოჯახო მეურნეობის შემოსავალი, სიღარიბის დონე, ჯინის შემოსავალი და კეთილდღეობის უთანაბრობის მაჩვენებელი, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის ყველაზე ღარიბი ფენის ხარჯების წილით ხარჯების საერთო წილი, მესამე კომპონენტი მოიცავს: სუფთა კორექტირებული დანაზოგები, რომლებიც ზომავენ დანაზოგთა ჭეშმარიტ ნორმას ეკონომიკაში ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციების, ბუნებრივი რესურსების გამოლევისა და გარემოს დაბინძურებისაგან ზარალის გათვალისწინებით; სახელმწიფო ვალს; დემოგრაფიულ დატვირთულობასა და ეკონომიკური წარმოების ნახშირბადტევადობა; ქვეყნის შეფარდებითი ეფექტურობის მაჩვენებელი კლიმატის ცვლილებისადმი წინააღმდეგობის გაწევის დარგში. მაჩვენებლების მოცემული ნაკრები ითვალისწინებს ცხოვრების დონის მრავალასპექტიან ხასიათს და საკმაოდ სრულია, მაგრამ მათი ადაპტაციისას საქართველოს პირობებში აუცილებელია გამოვიყენოთ ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლების უფრო ფართო ნაკრები: დამატებულ უნდა იქნას შემოსავლების მყიდველობითი უნარის მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება როგორც ხელფასის საშუალო ოდენობის შეფარდება საცხოვრებელი მინიმუმის ოდენობასთან, რაც საშუალებას გვაძლევს გავათანაბროთ ზოგიერთი რეგიონის მოსახლეობის რეალური შემოსავლები საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელობასთან შეფარდების მიხედვით. მთლიანობაში, ვიზიარებთ ინკლუზიური ზრდის დარგის სპეციალისტების: Samans R., Blanke J., Drzeniek M., Corrigan G.[3] და სხვა მეცნიერების პოზიციას ინკლუზიური განვითარების კრიტერიუმების თაობაზე და ვცნობთ მოცემული მეთოდოლოგიის დასაბუთებულობას, მაგრამ აუცილებელია მაჩვენებლებში რიგი ცვლილებების შეტანა რომლებიც საჭიროა საქართველოს რეგიონალური თავისებურებების უფრო ობიექტური გათვალისწინებისთვის.

დასკვნა

საქართველოს რეგიონების ინკლუზიური განვითარების გამოვლენილი სუსტი მხარეების გადასაჭრელად აქცენტი უნდა გაკეთდეს განათლების, მეწარმეობის და ბიზნესის, მოსახლეობის დასაქმებულობისა და ჯანმრთელობის, გარემოს დაცულობის უზრუნველყოფისა და სხვა დარგებში უფრო ინკლუზიური პოლიტიკის ფორმირებაზე. ასე, მაგალითად, განათლების სისტემის სრულყოფისა და მოსახლეობის განვითარების სფეროებში შეიძლება წარმოადგენდნენ ცალკეული პირებისთვის შესაძლებლობის მიცემა გაზარდონ ადამიანისეული პოტენციალი და შექმნან ხელსაყრელი პირობები მისი განვითარებისთვის. მოსახლეობის ცხოვრებისა და ხარისხის ამაღლება შესაძლებელია მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის ჯანდაცვის ხარისხიან მომსახურეობებთან წვდომის მინიჭების ხარჯზე. მოსახლეობის შრომითი აქტივობის შენარჩუნება შესაძლებელია შრომის ბაზარზე ცვლილებებისადმი მოსახლეობის ადაპტაციის გაზრდის

[1] Feshari M., Valibeigi M. Determinants of inclusive growth in iranian regions (sure approach in panel data) // Regional Science Inquiry. 2017. T. 9. №. 1. S. 167-175.

[2] Hasmath R. Inclusive growth, development and welfare policy: A critical assessment. New York: Routledge Taylor & Francis Group, 2015. https://www.routledge.com/Inclusive-Growth-Development-and-Welfare-Policy-A-Critical-Assessment/Hasmath/p/book/9781138840799

[3] Samans R., Blanke J., Drzeniek M., Corrigan G. The Inclusive Development Index 2018 Summary and Data Highlights. Geneva, Switzerland: World Economic Forum // World Economic Forum. URL: http://www3.weforum.org/docs/WEF_Forum_IncGrwth_2018.pdf

ხარჯზე. ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს სოციალური დაცვის მექანიზები და განხორციელების ყოვლისმომცველი პოლიტიკა. ყველაზე ნათელ მაგალითად თვლიან აუცილებელი ბაზური შემოსავლის კონცეფციას, რომელიც გულისხმობს ყოველთვიურ გადასახდებს, რომლებიც შერჩეულია შემთხვევით ნაკლებად უზრუნველყოფილი მოქალაქეებისთვის (უპირატესად, სტუდენტებისთვის, უმუშევრებისთვის, მუშებისთვის და მოსახლეობის სხვა ღარიბი კატეგორიებისთვის). მოცემული ინიციატივა იწვევს დავას, მაგრამ რიგ ქვეყნებში ეს უკვე გამოიყენება. ასე, ფინეთში 2017 წლიდან 2019 წლამდე უმუშევრობაზე დახმარების მიმღებთა 2000 მეტს უხდიან ბაზურ შემოსავალს 560 ევროს ოდენობით თვეში. შემდეგი მიმართულება - მეწარმეობისთვის დახმარებაა. სახელმწიფო რეგულირების საშუალებით საჭიროა მწარმოებლურობის ამაღლება, ყველაზე მეტად და ნაკლებად პროდუქტიულ ფირმებს შორის სხვაობის შემცირება, მეწარმობის ყოველგვარი სტიმლირება და ეკოლოგიური წარმოების სტიმულირება. ინკლუზიური ბიზნესის ფორმირება - მოსახლეობის ღარიბი ფენების ჩაბმა მომხმარებლების ან მწარმოებლების სახით და ეკოლოგიური ბიზნესი - გარემოზე ზემოქმედების შემცირება - ხშირად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. აქ სახელმწიფო თამაშობს მნიშვნელოვან როლს ბაზრებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფაში, ფიზიკური ინფრასტრუქტურის, აგრეთვე, ნორმატიული ბაზის ჩათვლით, რომელიც სტაბილური და უსაფრთხოა, მაგრამ ამასთანავე საკმაოდ მოქნილი, რათა იყოს ადგილი ექსპერიმენტებისთვის. აგრეთვე, სახელმწიფო გავლენას უნდა ახდენდეს საბაზრო მექანიზმებზე, შეიმუშავებს რა სუბსიდიებისა და სტიმულების სისტემებს მწვანე და ინკლუზიური ინოვაციებისთვის, ეხმარებიან რა მისიების ინიციატორებს გადარჩნენ „პირველგამვლელების“ ეტაპზე და ყველა მოთამაშეს შესაძლებლობას აძლევენ მოახდინოს ეკონომიკური ზრდის საბაზრო სტრატეგიების რეალიზაცია[1].

მოცემული ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს საქართველოში ინკლუზიური ზრდისა და განვითარების შეფასებისადმი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების გაფართოების საფუძველების ძიებაში.

დასასრულს ღირს ავღნიშნოთ, რომ ამჟამად ინკლუზიური ზრდისა და განვითარების სტრატეგია - ეს მსოფლიო გაერთიანების მიზანია. ამიტომ საქართველომ უნდა მოახდინოს განვითარების არსებული ეკონომიკური მოდელის მუდმივი სრულყოფა, ინკლუზიური ზრდის დარგში ახალი მიდგომების ძებნასა და გამოყენებაზე მუდმივი და სტაბილური მუშაობის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიიდან - საქართველო 2020
2. ხადური ნ. ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ინკლუზიური ზრდის ფაქტორები და საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებული გამოწვევები. "ეკონომისტი", N1, 2018
3. Samans R., Blanke J., Drzeniek M., Corrigan G. The Inclusive Development Index 2018 Summary and Data Highlights. Geneva, Switzerland: World Economic Forum // World Economic Forum. http://www3.weforum.org/docs/WEF_Forum_IncGrwth_2018.pdf (21.10.2019).
4. Samans R., Blanke J., Drzeniek M., Corrigan G. The Inclusive Growth and Development Report 2017. Geneva, Switzerland: World Economic Forum // World Economic Forum. http://www3.weforum.org/docs/WEF_Forum_IncGrwth_2017.pdf (21.10.2019).
5. Hasmath R. Inclusive growth, development and welfare policy: A critical assessment. NewYork: RoutledgeTaylor&FrancisGroup, 2015. https://www.routledge.com/Inclusive-Growth-Development-and-Welfare-Policy-A-Critical-Assessment/Hasmath/p/book/9781138840799

[1] Inclusive growth // The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD) URL: http://www.oecd.org/inclusive-growth/#introduction

6. Kazakova A.A. Inklyuzivnyi rost: problema sotsiologicheskoi kontseptualizatsii // Teoriya i praktika obshchestvennogo razvitiya. 2016. № 4. S. 21
7. El'shin L.A., Prygunova M.I. Ozhidaniya i ikh vliyanie na parametry tsiklicheskogo razvitiya ekonomiki // Teoreticheskaya i prikladnaya ekonomika. 2016. № 4. S. 23
8. Sharafutdinov R.I., Gerasimov V.O., Yagudina O.V., Dmitrieva I.S., Pavlov S.V., Akhmetshin E.M. Research of Human Capital in View of Labour Potential of Staff: National Companies Case Study // Proceedings of the 29th International Business Information Management Association Conference-Education Excellence and Innovation
9. Management through Vision 2020: From Regional Development Sustainability to Global Economic Growth. ViennaAustria: IBIMA, 2017. P. 839-8521
10. Feshari M., Valibeigi M. Determinants of inclusive growth in iranian regions (sure approach in panel data) // Regional Science Inquiry. 2017. T. 9. №. 1. S. 167-175.
11. Inclusive growth // The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD) URL: http://www.oecd.org/inclusive-growth/#introduction

Research methodology for national indicators of inclusive growth and development effectiveness

Nana Suladze
Doctoral student at GTU

Summary

The present paper examines the notion of key indicators of inclusive growth and development effectiveness. The object of research is inclusive growth and development. The subject of research is the key indicators of the effectiveness of inclusive development. The article discusses the notion of inclusive development as a new economic model aimed at creating a balanced socio-economic system, taking into account social equality, environmental factors and natural resources. Particular attention is paid to the inclusive development assessment methodology proposed by the experts of the World Economic Forum in 2017.

The scientific novelty of the work lies in the development of the theory of national economics, based on the expansion of theoretical-methodological approaches to the estimation of inclusive growth and development. The practical significance lies in the inclusive development index calculations, which can be used in the development and implementation of state and regional programs, as well as in the development and implementation of Georgia's development strategies.

Keywords: Inclusive Growth, Inclusive Development Index, National Performance Indicators, Inclusive Development Indicators, New Development Model, Equality of Generations, World Economic Forum, Income Inequality, Inclusive Development Policy.